საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1778-გ-2-202206300827

N 1778-გ 30/06/2022

შპს ,,ალიანსი''-ს დირექტორს

ბატონ თემურ კანკავას

ბატონო თემურ,

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 28 ივნისს გეგმიური მონიტორინგის მიზნით ობიექტებზე (გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვებაში, სოფ. ნორიოსა და სოფელ ჯანდარაში), იმყოფებოდნენ პროექტის მენეჯერები და ზედამხედველობის დეპარტამენტის ინჟინერი. ობიექტებზე შესრულებული სამუშაოები საგრძნობლად ჩამორჩება თქვენს მიერ წარმოდგენილ გეგმა-გრაფიკს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და სასწრაფოდ წარმოადგინოთ, საბოლოო სამუშაოების შესრულების დეტალური კალენდარული და ფინანსური გრაფიკები.

ასევე, მოგიწოდებთ დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა), უზრუნველყოთ დამატებითი მომუშავე პერსონალის მობილიზება, გაზარდოთ სამუშაოების ტემპი და დაიწყოთ ობიექტზე ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორების მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ფონდი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების შესაბამისად, დაიწყოს კონტრაქტის შეწყვეტის პროცედურები.

პატივისცემით,

გიორგი ციბაძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

დირექცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1643-გ-2-202206211302

N 1643-გ 21/06/2022

შპს "ალიანსი"-ს დირექტორს
ბატონ თეიმურაზ კანკავას
მის.: ქ. თბილისი თაბუკაშვილის ქ 42
ტელ. N: 99532983549
ელ. ფოსტა: aliansi06@yahoo.com

ბატონო თეიმურაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს "ალიანსი"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების (GOG/ET/CW/367ჯანდარა) (GOG/ET/CW/368 ნორიო) (GOG/ET/CW/470გამარჯვება) საფუძველზე, მიმდინარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჯანდარა, ნორიო, გამარჯვება, საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინჟინერის გეგმიური მონიტორინგის დროს კვლავ დაფიქსირდა სამუშაოების წარმოების დაბალი ტემპი, რომელიც აისახება სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადაზე. სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა აღნიშნულ ობიექტებზე იწურება ამა წლის 24 ივნისს (ჯანდარა, ნორიო) ხოლო ამა წლის 24 ივლისს გამარჯვებაზე, შესაბამისად დღეის მდგომარეობით ათვისებულია საკონტრაქტო თანხის შემდეგი ოდენობები:

ჯანდარა---73,7%, ნორიო---58,1%, გამარჯვება--33,8% მოგიწოდებთ დროულად მოახდინოთ მობილიზება, როგორც ტექნიკისა და მასალის, ასევე ადამიანური რესურსის მხრივ. არსებული ვითარება, განხილული იქნება როგორც თქვენი მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა და სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი მიმართავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სანქციებს.

პატივისცემით,

გიორგი ციბაძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

დირექცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

431-გ-2-202202221226

N 431-გ 22/02/2022

შპს "ალიანსი" -ს დირექტორს

ბატონ თემურ კანკავას

ასლი: ქალაქ გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

ბატონო თემურ,

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს "ალიანსს" შორის გაფორმებული NGOG/ET/CW/368 და GOG/ET/CW/367 ხელშეკრულებების თანახმად, მოგმართავთ გამაფრთხილებელი წერილით სამუშაოების დაბალ ტემპთან დაკავშირებით. მოგახსენებთ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარის და სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელშეკრულების მიხედვით დაფიქსირებულია საკამოდ ჩამორჩენა, რაც არ შესაბამება წარმოდგენილი გეგმა გრაფიკით გათვალისწინებულ სამუშაოების დასრულებას. გთხოვთ, დროულად მოახდინოთ მასალების და მუშახელის ორგანიზება, სამუშაოების აქტიური ფაზისთვის ასევე გთხოვთ, სასწრაფოდ მოგვაწოდოთ ინფორმაცია დარჩენილი სამუშაოების განხორციელების ვადებთან დაკავშირებით. (განახლებული გეგმა გრაფიკი) დამატებით გიგზავნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შემოსულ წერილს, რომელიც ასევე ეხება სამუშაოების დაბალ ტემპს.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ციბაძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

დირექცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

3583-გ-2-202111291041

N 3583-გ 29/11/2021

შპს "ალიანსი" -ს დირექტორს

ბატონ თემურ კანკავას

ბატონო თემურ,

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს "ალიანსს" შორის გაფორმებული NGOG/ET/CW/368 და GOG/ET/CW/367 ხელშეკრულებების თანახმად, მოგმართავთ გამაფრთხილებელი წერილით სამუშაოების დაბალ ტემპთან დაკავშირებით. მოგახსენებთ, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარის და სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელშეკრულების მიხედვით დაფიქსირებულია ჩამორჩენა, რაც არ შესაბამება რეალობას. გთხოვთ, დროულად მოახდინოთ მასალების და მუშახელის ორგანიზება, სამუშაოების აქტიური ფაზისთვის.

პატივისცემით,

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

საქართველო
სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის
სოფელ ნორიოს საჯარო სკოლა

GEORGIA
LEPL GARDABANI MUNICIPALITY
VILLAGE NORIO PUBLIC SCHOOL

MES 3 22 0000785239

11/07/2022

ქალაქ გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის
ფუნქციათა შემსრულებელ ქალბატონ ირინა ქირიას

ქალბატონო ირინა,

მოგახსენებთ, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია. სამუშაოებს ასრულებს, ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) **NAT200016958** გამარჯვებული **შ.პ.ს. "ალიანსი".** რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო 2020 წლის დეკემბერში. ხელშეკრულების დადების თარიღია 24 დეკემბერი 2020 წელი. ხელშეკრულებით, სამუშაოების დასრულების თარიღად გათვალისწინებული იყო 2021 წლის 24 ნოემბერი. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდა პროექტით გაუთვალისწინებელი სხვადასხვა სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, რის საფუძველზეც მოხდა ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებაში რამდენიმე ცვლილების შეტანა და ბოლო (01/07/2022) ცვლილებით სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადა განისაზღვრა: 2022 წლის 24 ივლისი.

ჩვენს მიერ მუდმივად ხორციელდება სკოლაში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერება, საიდანაც გვექმნება შთაბეჭდილება, იმდენად დიდია შესასრულებელი სამუშაოები, რომ აღნიშნულ ვადაში ვერ მოესწრება სკოლის რეაბილიტაციის დამთავრება. არ დაწყებულა საკლასო ოთახების და დერეფნების იატაკის დაგება, არ არის ყველა ფანჯარა გამოცვლილი, შესაღებია წინა ფასადი, არ არის ეზო მოპირკეთებული, არ არის დასრულებული გარე სპორტული მოედანი). ამჟამად არ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რაც გვაძლევს იმის საბაბს, რომ 2022 წლის 24 ივლისისათვის ვერ მოხდება სკოლის შენობის რეაბილიტაციის დასრულება, შესაბამისად ვერ მოხდება ახალი 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის შენობაში დაწყება.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს სკოლის სასწავლო პროცესი ტარდებოდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N 1 და N 2 საჯარო სკოლებში. როგორც ჩვენთვის ცნობილია მარტყოფის N 1 სკოლაშიც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გთხოვთ გაგვიწიოთ შუამდგომლობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, შემოწმდეს მიმდინარე სამუშაოები, რათა დროულად მოხდეს სკოლის შენობის რეაბილიტაცია და მითითებულ ვადაში სამუშაოების დასრულება. ამაზეა დამოკიდებული ნორიოს საჯარო სკოლაში სრულფასოვანი სასწავლო პროცესის აღდგენა.

ტელ: 551 09 24 48 ელ.ფოსტა: norio@mes.gov.ge

პატივისცემით:

ქვემო ქართლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს
საჯარო სკოლა
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მამუკაშვილი შორენა

შ. მამუკაშვილი

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს
ტერიტორიული ორგანო -
ქალაქ გარდაბნის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი

Territorial Entity of the Ministry of
Education and Science of Georgia –
Gardabani Educational Resource
Center

MES 4 22 0000797705

13/07/2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს
სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ლალი კალანდაძეს

ქალბატონო ლალი,

ქალაქ გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის N785239 წერილი და სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის წერილი N784412, რომელთა მიხედვითაც მოგახსენებთ, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს აღნიშნული საჯარო სკოლების შენობის სრული რეაბილიტაცია. სამუშაოებს ორივე სკოლაში ასრულებს **შ.პ.ს. "ალიანსი".**

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლაში რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო 2020 წლის დეკემბერში. ხელშეკრულებით, სამუშაოების დასრულების თარიღად გათვალისწინებული იყო 2021 წლის 24 ნოემბერი. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდა პროექტით გაუთვალისწინებელი სხვადასხვა სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, რის საფუძველზეც მოხდა ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებაში რამდენიმე ცვლილების შეტანა და ბოლო (01/07/2022) ცვლილებით სამუშაოების დასრულების საბოლოო ვადა განისაზღვრა 2022 წლის 24 ივლისი.

ნორიოს საჯარო სკოლაში იმდენად დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნულ ვადაში ვერ მოესწრება სკოლის რეაბილიტაციის დამთავრება. არ დაწყებულა საკლასო ოთახების და დერეფნების იატაკის დაგება, არ არის ყველა ფანჯარა გამოცვლილი, შესაღებია წინა ფასადი, არ არის ეზო მოპირკეთებული, არ არის დასრულებული გარე სპორტული მოედანი). ამჟამად არ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რაც იძლევა იმის საბაბს, რომ 2022 წლის 24 ივლისისთვის ვერ მოხდება სკოლის შენობის რეაბილიტაციის დასრულება, შესაბამისად ვერ მოხდება ახალი 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის შენობაში დაწყება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ტარდებოდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N 1 და N 2 საჯარო სკოლებში. მოგახსენებთ, რომ სსიპ გარდაბნის

მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N1 საჯარო სკოლაშიც დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც დამატებით სირთულეებს შექმნის სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლას, მოგახსენებთ, რომ
სატენდერო პროცესების გაჭიანურების გამო სამუშაოები დაიწყო 2021 წლის სექტემბერში და უნდა დასრულებულიყო 2022 წლის ივლისის ბოლოს. მაგრამ ტექნიკური პრობლემების გამო აუცილებელი გახდა პროექტში ცვლილებების შეტანა. როგორც ცნობილია სამუშაოების დასრულების ვადა კომპანიას გაუხანგრძლივდა 2022 წლის დეკემბრამდე. თუმცა ეს ვადაც ეჭვის ქვეშ არის, რადგან ამ მომენტისათვის სამუშაოები შეჩერებულია, დავალიანებაა ხელფასების გაცემაში, ხოლო დასამთავრებელი სამუშაოები დიდი მოცულობისაა.

გიგზავნით სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლისა და სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის კორესპონდენციებს თქვენი ინფორმირებისა და შემდგომი რეაგირების მიზნით.

იხ.საფუძვლები

პატივისცემით,

ქალაქ გარდაბნის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსის ფუნქციათა
შემსრულებელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 3 22 0000863953

01/08/2022

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელ დირექტორს,
ბატონ დავით ტაბიძეს
ასლი: ქალაქ გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

ბატონო დავით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში შემოვიდა გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის N797705,13.07.2022), რომელიც ეხება სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოსა და სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების საკითხს. კერძოდ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო მიმდინარე წლის 24 ივლისი, სარეაბილიტაციო სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს, მაგრამ იმდენად დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვერ მოხდება ახალი 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის შენობაში დაწყება. რაც შეეხება სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლას, სარეაბილიტაციო სამუშაოების ვადამ გადაიწია მიმდინარე წლის დეკემბრამდე, მაგრამ ჩნდება საფუძვლიან ეჭვი, რომ აღნიშნულ ვადაშიც ვერ მოხერხდება სამუშაოების დასრულება, რადგან ამ მომენტისათვის სამუშაოები შეჩერებულია ხელფასების გადაუხდელობის გამო და კიდევ შესასრულებელია დიდი მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გიგზავნით აღნიშნულ წერილს (იხ. მიბმული ფაილები) თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განხილვისა და შემდგომი რეაგირების მიზნით.

დანართი 3 (სამი) ფაილი

პატივისცემით,

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
სკოლამდელი და ზოგადი განათლების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კალანდაძე ლალი